

**კონტრონიმების, ანუ ერთი სახის ლექსიკური  
ერთეულების, შესახებ ქართულში**

**CONTRONYMS AS A TYPE OF LEXICAL UNITS IN  
GEORGIAN**

**რამაზ ქურდაძე**

**Ramaz Kurdadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კონტრონიმები, კონტრანიმები,  
ენანტიონიმები, აუტოანტონიმები, აუტანტონიმები

**Keywords:** Contronyms, contranymy, enantionymy, auto-antonymy,  
autantonymy

კონტრონიმი ან კონტრანიმი ისეთი პოლისემიური სიტყვაა, რომლის მნიშვნელობათაგან ერთი მეორის საწინააღმდეგოა. მაგალითად, ინგლისურში (და ზოგ სხვა ენაშიც) sanction – სანქცია შეიძლება ნიშნავდეს “approve” – მოწონებას, დამტკიცებას, დადასტურებას ან “penalize” – დასჯას, დაჯარიმებას და სხვ.

ასეთ სიტყვებს სხვა მრავალი ტერმინითაც მოიხსენიებენ: ენანტიოსემი, ენანტიონიმი ავტოანტონიმი ან აუტანტონიმი, იანუსი სიტყვები, და სხვ. თვით ამ ფენომენსაც რამდენიმე სახელწოდება აქვს: ენანტიოსემია, ენანტიონიმია, ანტილოგია, აუტანტონიმია.

შესაძლებელია, ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები რამდენიმე ენაში იყოს კონტრონიმები, მაგალითად, ზმნები: გერმანული ausleihen, პოლონური pożyczyc, რუსული одолжить და ფინური lainata შეიძლება ნიშნავდეს: ვინმეს რომ ასესხებენ რამეს, ან ვინმესგან რომ ისესხებენ რამეს; ამ მნიშვნელობათა გარჩევა ბრუნების, ნაცვალსახელთა და შესაბამის პირთა გამოყენებით ხდება.

ბევრ ენაში გამოვლენილია კონტრონიმები, დახასიათებულია ლინგვისტურად და არსებობს მათი შესაბამისი სიები. ბუნებრივია, ამ მხრივ საინტერესოა ქართული ენის მონაცემებიც. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ზემომოყვანილ ზმნებს ამავე სტატუსით გვერდით ამოუდგება ქართული ვარიანტიც: სესხება, რაც სახელია ასესხებს, ისესხებს ზმნათა მოქმედებისა და ერთი მნიშვნელობით სესხად მიცემას, ხოლო მეორე მნიშვნელობით სესხის აღებას ნიშნავს.

ნებისმიერი ენისათვის კონტრონიმების გამოვლენა საკმაოდ სერიოზულ მიდგომას მოითხოვს, ისინი უნდა გამოცალკევდნენ ანტონიმების, ომონიმებისა და სხვა პოლისემიური ლექსიკური ერთეულებისაგან. ყოველივე ეს სპეციალურ ლექსიკოლოგიურ ანალიზს საჭიროებს.

ბუნებრივია, ამ მხრივ საგანგებო კვლევა-ძიებაა ჩასატარებელი ქართულშიც, ქართული კონტრონიმების სრული სურათის ჩვენება მომავლის საქმეა. ამჯერად ქართულის ორიოდ ნიმუშსაც დავასახელებთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, ასევე კონტრონიმები არიან:

შეუბრალებელი – შეიძლება ნიშნავდეს იმას, ვინც სხვას არ იბრალებს, ან იმას, ვინც არ შეიბრალებს.

იგინება – შეიძლება ნიშნავდეს იმას, ვისაც აგინებენ, ან იმას, ვინც სხვას/სხვებს აგინებს.

### **ლიტერატურა:**

- აბულაძე, ლ. ლუდენი, ა.** (2013). ენანტიოსემია ქართულში (I ნაწილი), ენათმეცნიერების საკითხები, 17-47. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- აბულაძე, ლ. ლუდენი, ა.** (2014). ენანტიოსემია ქართულში (II ნაწილი), ენათმეცნიერების საკითხები, 17-47. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- ავტოანტონიმი.** (2021, 15 სექტემბერი). ვიკიპედია. <https://en.wikipedia.org/wiki/Auto-antonym>.
- ნიკოლი, მ.** (2011). (2021, 15 სექტემბერი) 75 კონტრონიმი. დელირაითი-ნგთიფსი [Dailywritingtips]. <https://www.dailywritingtips.com/75-contronyms-words-with-contradictory-meanings/>.
- ფოჩხუა, ბ.** (1974). ქართული ლექსიკოლოგია. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- ქობალავა, ი.** (2008). ანტონიმები; ანტონიმია; ომონიმი; ომონიმია; პოლი-სემია. ქართული ენა, ენციკლოპედია. რედაქტორი გ. კვარაცხელია. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მეცნიერება“ (გვ. 41-42; 349-350; 379).
- ქეგელი.** (1960). სესხება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი ა. ჩიქობავა თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1-ლი გამ., ტ. VI, გვ. 997-998).
- შანიძე, ა.** (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

Contronyms or contranymy are polysemantic words containing two contradictory meanings at the same time. For instance, in English (and some other languages) “sanction” may mean both approve and penalize.

Such words are denoted by numerous other terms such as enantiosems, enantionymy, auto-antonyms, autantonyms, Janus words and so on. There are several terms also for this phenomenon: enantiosemy, enantionymy, antilogy or autantonymy.

Correlated words may be contronyms in several languages. For instance, the verbs: German ausleihen, Polish pożyczyć, Russian одолжить and Finnish lainata may denote both lending and borrowing. The meaning is identified by means of case forms, pronouns and verb person forms.

Contronyms have been identified, characterized and registered in many languages. Naturally, the data of the Georgian language are also interesting in this regard. The following Georgian verb can serve as an example of a contronym: the verb სესხება [seskheba] may denote both lending and borrowing.

Analysis of contronyms in any language requires significant efforts, because they must be separated from antonyms, homonyms and other poly-semantic lexical units. All this requires special lexicological analysis.

Naturally, a special study should be dedicated to the given issue with regard to Georgian as well. It is a matter of further research to outline a complete picture of Georgian contronyms. This time we add a couple of examples of contronyms in Georgian:

შეუბრალებელი [sheubralebeli] – denotes both a person who has no compassion for others and a person who has been devoid of compassion from others.

იგინება [igineba] – may denote both a person who scolds other people and a person who is scolded.

## References:

- Abuladze, L. Ludden, A.** (2013). enantiosemia kartulshi. (I natsili). enatmetsnierbis sakitkhebi. [Enantiosemy in the Georgian Language (Part I). ISSUES OF LINGUISTICS], 17-41. Tbilisi: "Tbilisi State University Publishing House."
- Abuladze, L. Ludden, A.** (2014). enantiosemia kartulshi. (II natsili). enatmetsnierbis sakitkhebi. [Enantiosemy in the Georgian Language (Part II). ISSUES OF LINGUISTICS], 47-80. Tbilisi: "Tbilisi State University Publishing House."
- Auto-antonym.** (2021, September 15). In Wikipedia. <https://en.wikipedia.org/wiki/Auto-antonym> KEGLI. (1960). seskheba. kartuli enis ganmartebiti leksikkoni [The explanatory dictionary of the Georgian language]. Editor in chief A. Chikobava. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR (1<sup>st</sup> ed., vol. VI, pp. 997-998).

- Kobalava, I.** (2008). antonimebi; antonimia; omonimebi; omonimia; polisemia. kartuli ena. entsiklopedia [Antonyms; Antonymy; Homonym; Homonymy; Polysemy. The Georgian Language, Encyclopedia]. Editor G. Kvaratskhelia. Tbilisi: Publishing House "Erovnuli Mtserloba" (pp. 41-41; 349-350; 379).
- Nichol, M.** (2011). (2021, September 15). 75 Cononyms (Words with Contradictory Meanings). Dailywritingtips <https://www.dailywritingtips.com/75-cononyms-words-with-contradictory-meanings/>
- Pochkhua, B.** (1974). kartuli leksikologia. [Georgian Lexicology]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Shanidze, A.** (1980). kartuli enis gramatikis sapudzvlebi, t. III. [Basis of the Georgian Language Grammar, vol. III]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

